საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030487008950618

№ 04-721/ო **14 / ნოემბერი / 2018 წ.**

საინფორმაციო პორტალთან წვდომის უფლებამოსილების განსაზღვრის ღონისძიებების შესახებ

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16-18 მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის და სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის 2018 წლის 9 ოქტომბრის N04-21746 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) იმ პასუხისმგებელი პირების სია, რომლებიც შესაბამის სტრუქტურულ და ტერიტორიული ერთეულებში ინდივიდუალურად განსაზღვრავენ საინფორმაციო პორტალთან (http://172.17.8.125/ssareporting_v01) წვდომაზე უფლებამოსილ თანამშრომლებს, მათი კომპეტენციის და დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო ინფორმაციის მოცულობის გათვალისწინებით (დანართი N1).

2. დაევალოთ სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელებს, N1 დანართით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირ(ებ)ის ცვლილების შემთხვევაში, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, წერილობით აცნობონ სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს (ი. ტაბატაძე):

ა) იურიდიულ დეპარტამენტთან შეთანხმებით, უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლებისთვის საინფორმაციო პორტალთან წვდომის პროცედურების უზრუნველყოფა, დასაბუთებული წერილობითი მომართვ(ებ)ის საფუძველზე;

ბ) N1 დანართით განსაზღვრული პირ(ებ)ის სამუშაოზე დროებით არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება ან/და სხვა საპატიო მიზეზი), შესაბამისი სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ წერილით წარმოდგენილ პირ(ებ)ს, მითითებული მოცულობით, განუსაზღვროს საინფორმაციო პორტალთან წვდომა.

4. დაევალოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი) სააგენტოს დირექტორის, დირექტორის მოადგილეების, დირექტორის მრჩევლების საინფორმაციო პორტალთან წვდომის პროცედურების უზრუნველყოფა, მათი კომპეტენციის და დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო ინფორმაციის მოცულობის გათვალისწინებით.

5. ცნობად იქნეს მიღებული:

ა) N1 დანართით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების რაოდენობა თითოეულ სტრუქტურულ და ტერიტორიულ ერთეულში შეიძლება იყოს ერთზე მეტი;

ბ) საინფორმაციო პორტალთან დაკავშირებული საინსტრუქციო დოკუმენტაცია გაგზავნილია სააგენტოს ტერიტორიული და სტრუქტურული ერთეულებისათვის (N04/78148, 20.12.2017წ.; N04/78441, 21.12.2017 წ.; N04/7911, 12.02.2018 წ.).

6. ამ ბრძანების N1 დანართით გაგათვალისწინებული და მათ მიერ განსაზღვრული, საინფორმაციო პორტალთან წვდომაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ი პასუხისმგებელი არიან მონაცემთა დამუშავების, მონაცემთა უსაფრთხოებისა და მონაცემთა გამჟღავნებასთან დაკავშირებით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, მათ შორის, მე-16-18 მუხლებით დადგენილი პირობებისა და ვალდებულებების შესრულებაზე.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

თამაზ მოდებაძე